თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 11

ქ. თერჯოლა 3 ოქტომბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნინო მახათაძე, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. როლანდი მესხი,

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282327598 წერილი, 02.10.2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 285.6 ათასი ლარით და შეადგენს 30609.5 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი - გადასახადები გაიზარდა 285.6 ათასი ლარით. დამატებითი ღირებულების გადასახადი გაიზარდა 285.6 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 285.6 ათასი ლარით. მერიის დაფინასება გაიზარდა 15.6 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა

150.0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 60.0 ათასი ლარით. ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახლგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. კულტურის სახლების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. სოციალური დაცვა გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, მანუჩარ ფანჩულიძემ, გოჩა ვერულაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე
თემურ ქოჩიაშვილი